

"ვამტკიცებ"

ზაზა ლომინაძე

იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი

საქართველოს გუნდური ტურნირი ჭადრაკში

"დავით ჩირაძის მემორიალი - 2025"

სპორტული სასწავლებლების, ორგანიზაციებისა და კლუბების 7, 8 და 10 წლამდე გოგონათა და ჭაბუკთა შორის

(ქუთაისი, 20-25 ნოემბერი, 2025 წ.)

შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ი ს დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ტურნირის ორგანიზატორები:

მაია ჩიბურდანიძის სახელობის ქუთაისის საჭადრაკო სკოლა (მის. თაბუკაშვილის ქუჩა № 20).

ტურნირის ჩატარების სისტემა:

7, 8 და 10 წლამდე ასაკებში გაიმართება გუნდური ტურნირი შვეიცარული სისტემით 7 ტურად. აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი. კენჭისყრა გაიმართება კომპიუტერული პროგრამით - **SwissManager;**
სასტარტო სია და კენჭისყრის შედეგები განთავსდება შემდეგ საიტზე - **chess-results.com (GEO);**
ტურნირის ინფორმაცია და ფოტო-მასალა ატვირთული იქნება: **www.facebook.com/** იმერეთის ჭადრაკის ფედერაცია.

დროის კონტროლი:

7, 8 და 10 წლამდე ტურნირში ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 40 წუთი, ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით.

მონაწილენი:

7 წლამდე ტურნირში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ 2018 წელს და შემდეგ დაბადებულ მოჭადრაკეებს; 8 წლამდე – 2017 წწ.;10 წლამდე – 2015 წწ.
7, 8 და 10 წლამდე ტურნირებში დაიშვება ყველა გუნდი, ასკობრივი ცენზის დაცვით. გუნდი უნდა შედგებოდეს სპორტული სასწავლებლის, ორგანიზაციის ან კლუბის 4 მოჭადრაკით: I, II, III დაფა - ჭაბუკი, IV დაფა - გოგონა (სათადარიგოს გარეშე, გოგონებს უფლება აქვთ ითამაშონ ჭაბუკთა დაფებზე). შესაძლებელია ერთ ორგანიზაციაში მყოფი სხვადასხვა მასწავლებლის მოსწავლეების ერთ გუნდში გაერთიანება.

რეგისტრაცია:

რეგისტრაცია იწარმოებს: 19 ნოემბრის 20 საათამდე.
რეგისტრაციის დროს გუნდის ხელმძღვანელებმა თან უნდა იქონიონ: სატურნირო შესატანის ქვითრები, განაცხადი გუნდში დაფებზე თანმიმდევრობის მიხედვით (ტურნირის მიმდინარეობისას მოთამაშეთა დაფებზე გადაადგილება არ შეიძლება) და მონაწილეთა დაბადების მოწმობის ასლი.

სატურნირო შესატანი:

სატურნირო შესატანია თითოეულ მონაწილეზე 40 (ორმოცი) ლარი. რომელიც უნდა ჩაირიცხოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტზე: იმერეთის მხარის ჭადრაკის ფედერაცია, ს.ს "საქართველოს ბანკი"; ბანკის კოდი – BAGAGE22; ა.ნ – GE85BG0000000297921200.
სატურნირო შესატანიდან გათავისუფლებული არიან: სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირები, მრავალშვილიანი ოჯახის წევრები.

7, 8 და 10 წლამდე გუნდებს მოგებაზე დაეწერებათ – 2 ქულა; ფრეზე – 1 ქულა; წაგებაზე – 0 ქულა. გუნდების მიერ თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება: 1) ქულათა საერთო ჯამი ; 2) პირადი გუნდური შეხვედრა; 3) მოგებული მატჩების რაოდენობა; 4) პირად შეხვედრაში I დაფის შედეგი, II დაფის შედეგი და ა.შ.

დაჯილდოება:

7, 8 და 10 წლამდე პირველ ადგილებზე გასულ გუნდებს გადაეცემათ დავით ჩირაძის სახელობის თასი. ყოველ ასაკობრივ ჯგუფში გამარჯვებული სამეული გუნდის წევრები და მათი მწვრთნელები დაჯილდოვდებიან I, II და III ხარისხის დიპლომებით, მედლებით და ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაწესებული ფულადი პრიზებით.

საპრიზო ფონდი - 5.000 ლარი:

კატეგორია	ადგილი (გუნდი)	პრიზი (გუნდი)	I დაფა	II დაფა	III დაფა	IV დაფა	მწვრთნელი (ხელმძღვანელი)
10 წლამდე	I	700 ლარი	(140 ლარი)	(140 ლარი)	(140 ლარი)	(140 ლარი)	(140 ლარი)
	II	600 ლარი	(120 ლარი)	(120 ლარი)	(120 ლარი)	(120 ლარი)	(120 ლარი)
	III	400 ლარი	(80 ლარი)	(80 ლარი)	(80 ლარი)	(80 ლარი)	(80 ლარი)
8 წლამდე	I	700 ლარი	(140 ლარი)	(140 ლარი)	(140 ლარი)	(140 ლარი)	(140 ლარი)
	II	600 ლარი	(120 ლარი)	(120 ლარი)	(120 ლარი)	(120 ლარი)	(120 ლარი)
	III	400 ლარი	(80 ლარი)	(80 ლარი)	(80 ლარი)	(80 ლარი)	(80 ლარი)
7 წლამდე	I	700 ლარი	(140 ლარი)	(140 ლარი)	(140 ლარი)	(140 ლარი)	(140 ლარი)
	II	500 ლარი	(100 ლარი)	(100 ლარი)	(100 ლარი)	(100 ლარი)	(100 ლარი)
	III	400 ლარი	(80 ლარი)	(80 ლარი)	(80 ლარი)	(80 ლარი)	(80 ლარი)

შეჯიბრების განრიგი:

ტური	თარიღი	7, 8 და 10 წლ. ტურნირები
ჩამოსვლის დღე	21 ნოემბერი	
I ტური	22 ნოემბერი	15:00 სთ.
II ტური	23 ნოემბერი	14:00 სთ.
III ტური	23 ნოემბერი	16:00 სთ.
IV ტური	24 ნოემბერი	14:00 სთ.
V ტური	24 ნოემბერი	16:00 სთ.
VI ტური	25 ნოემბერი	14:00 სთ.
VII ტური	25 ნოემბერი	16:00 სთ.
დახურვა	25 ნოემბერი	18:30 სთ.
გამგზავრება	26 ნოემბერი	

ფულადი პრიზები დაიბეგრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

აღნიშნული დებულება ითვლება ოფიციალურ განაცხადად რეგიონების სპორტის საქალაქო სამსახურებსა და განათლების სისტემაში გაერთიანებული მოჭადრაკებისა და მათი მწვრთნელებისათვის. სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

ტურის დაწებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

ნებისმირ მონაწილეს უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში, რომელიც არჩეული იქნება შეჯიბრების დაწყების დღეს - პირველ ტურზე. პროტესტის შემთხვევაში მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად იმერეთის ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 30 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება. პროტესტი განხილული უნდა იყოს სააპელაციო კომიტეტის მიერ ტურის დამთავრებიდან 15 წუთის განმავლობაში.

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა რეგულირდება დაგართი 1-ით.

ტურნირის დირექტორი: იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი - ზაზა ლომინაძე;
მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - ალექსანდრე არსენიძე, ტელ: 599-929-687.